

# პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეორგანიზაციის პირველი ეტაპი იწყება



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეორგანიზაციის პირველი ეტაპი დღეიდან დაიწყება.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ამ დროის მონაცემებით მომუშავე 102 თანამშრომრიდან ბიუჯეტის პროექტით ვაკანსია მხოლოდ 60 თანამშრომერზეა გათვარისწინებული. როგორც საქართველოს პრეზიდენტის სპიკერმა, ხატია მოისწრაფიშვირმა განაცხდა, შეთავაზებას მიიღებს ყველა თანამშრომერი, რომელიც ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული პოლიტიკით გათვარისწინებულ კვარიფიკაციას დააკმაყოფილებს.

*„31 დეკემბრიდან გამოცხადდა რეორგანიზაცია. 15 იანვრამდე დასრულდება საკადრო პოლიტიკის შემუშავება, განისაზღვრება საკვარიფიკაციო მოთხოვნები ყველა იმ საშტატო ერთეულისთვის, რომელიც იმუშავებს და ეს არის 60 საშტატო ერთეურზე. 15 იანვრიდან დაიწყება რეორგანიზაციის პირველი ეტაპი რაც იმას ნიშნავს, რომ 15 თებერვრამდე მოხდება ამ პოლიტიკის მიხედვით თანამშრომლობის შეთავაზება შიდა რესურსისთვის. თუ ისინი შეძლებენ, მიიღებენ და დააკმაყოფილებენ მოთხოვნებს, რომელიც შემუშავებული იქნება, პირველ რიგში განიხილებიან სწორედ ეს კადრები“, – განაცხადა ხატია მოისწრაფიშვირმა.*

მისივე თქმით, 15 თებერვრიდან დაიწყება მეორე ეტაპი. ვინც არ, ან ვერ დააკმაყოფილებენ ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას,

მათი მონაცემები გადავა საჯარო ბიუროს განკარგულებაში.

*„საჯარო ბიურო ეცდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, სახერმნილო საჯარო უწყებებში მოძებნოს მათთვის შესაბამისი და მისაღები ადგილები. თუ ამ შემთხვევაშიც არ მოხდება მათთვის მისაღები პირობების შექმნა, მიიღებენ სამი თვის სარგოს ხელფასის სახით“, – განუცხადა პირველ არხს ხატია მოისწრაფიშვილი.*